საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მთავრიშვილი თომა აბრამის ძე

მთავრიშვილი თომა აბრამის ძე (6.X.1859, სოფ. ჯიმათი, ახლანდ. სიღნაღის მუნიციპალიტეტი, - ?? 1928, თბილისი), პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზ-ბის წევრი (1896-იდან). სწავლობდა სოფ. ჯიმათის სამრევლო სკოლაში (1865-68), სადაც შეისწავლა ქართ. წერა-კითხვა და ხუცური ანბანი. შემდეგ სწავლა განაგრძო საცხენისის სამხ. სასწავლებელში, სადაც სწავლება რუს. ენაზე მიმდინარეობდა, მასწავლებლები კი სამხ. პირები იყვნენ. 1877-81 სწავლობდა თბილ. ალექსანდრეს სახ. პედ. ინ-ტში, სადაც ასევე მკაცრი რეჟიმი იყო გაბატონებული. 1881 მუშაობა დაიწყო ქუთაისის სათავადაზნაურო ქართ. სკოლაში ქართ. ენისა და ბუნებისმეტყველების მასწავლებლად.

მ-ის შრომას სათანადოდ აფასებდა ი. გოგებაშვილი. მ. თავისივე შეგროვებულ ხალხურ ზღაპრებს, ლექსებს, აგრეთვე კორესპონდენციებსა და პოლემიკურ წერილებს აქვეყნებდა „დროებასა“ და „ივერიაში“ ფსევდონიმებით - კახელი თომა და ზიარელი თომა.

მ. მთარგმნელობით საქმიანობასაც ეწეოდა. ქართვ. საზ-ბა მისი თარგმანებით ეცნობოდნენ უცხოელი პედაგოგების (მ. შ. პესტალოცის) ცხოვრებასა და მოღვაწეობას. მ. ეთნოგრაფიულ წერილებს აქვეყნებდა კავკასიის სასწავლო ოლქის რუს. პერიოდულ კრებულებში, აგრეთვე „მოამბესა“ და „ჯეჯილში“.

XIX ს. 80-იანი წლებიდან მ-მა დიდი წვლილი შეიტანა პოპულარული წიგნების გამოცემასა და გავრცელებაში, სოფლად დააარსა ბ-კები. 1908 ი. და ს. ოცხელებთან ერთად მ-მა საფუძველი ჩაუყარა წიგნის გამომცემელთა ამხანაგობას, რ-მაც 73 სახელწოდების სახელმძღვანელო და სამეცნ. ნაშრომი გამოსცა. მან ი. ოცხელთან და ს. ყიფიანთან

ერთად შეადგინა ქართ. ენის სახელმძღვანელო „გუთანი“, რ-იც თავის დროზე ერთ-ერთ საუკეთესო გამოცემად ითვლებოდა; გამოსცა ასევე „ქართული ანბანი“.

ლიტ.: სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები, თბ., 1965.

თ. ალიბეგაშვილი